			დანართი N
	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის მიმართ საკრებულოს ფრაქციებისა და კომისიების დასკვნებში დაფიქსირებული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების მდგომარეობის ამსახველი ფურცელი		
	შენიშვნის/რეკომენდაციის ავტორი	**შენიშვნის შინაარსი**	**შენიშვნის გათვალისწინების მდგომარეობა**
2	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებუ-ლოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია	1. 2024 წლის საბიუჯეტო განაცხადის დოკუმენტის აღწერილობით ნაწილი(თანმხლები მასალაც) წარმოდგენილია ხარვეზით, რომელიც უნდა გასწორდეს. ამ კუთხით აუცილებელია ცალკეული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების ფარგლებში შემავალი ქვეპროგრამების მოცულობების თანხვედრაში მოყვანა.	შენიშვნა გათვალისწინებულია და სრულად თანხვედრაშია კანომდებლობასთან.
		2. საბიუჯეტო განაცხადის პროექტი წარმოდგენილია პროგრამულ ფორმატში. პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია ითხოვს პროგრამებში/ ქვეპროგრამებში/ საბიუჯეტო სახსრების გამოყენების შუალედური და საბოლოო შედეგები, შეფასების ინდიკატორები და მახასიათებლები მოცემული უნდა იყოს არა მხოლოდ რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ მაჩვენებელში. პროექტში გარდა ცალკეული გამონაკლისებისა არ გვხვდება ხარჯთან პირდაპირ ხარისხობრივ ბმაში მყოფი შედეგების აღწერილობა და შეფასების ინდიკატორები;	შენიშვნა გათვალისწინებულია, ბიუჯეტს დანართის სახით ახლავს თითოეულ ქვეპროგრამაზე აღწერილობა და ინდიკატორები, შესაბამისი საკურატორო სამსახურების მიერ.
		3. -საბიუჯეტო განაცხადის დოკუმენტში წარმოდგენილ აღწერილობით ნაწილს ცალკეული პროგრამების დონეზე აკლია კონკრეტიკა. კერძოდ, პროგრამებსა და ქვეპროგრამებს უნდა დაემატოს საბიუჯეტო სახსრების გამოყენების მიმართულებები კონკრეტული ლოკაციების მითითებით.	შენიშვნა გათვალისწინებულია, შესაბამისი სამსახურების მიერ მაქსიმალურად გამოსწორდა შესაბამისი ხარვეზი და შემლებისდაგვარად დაკონკრეტდა ლოკაციები.
		4. „გზების მოვლა-შენახვა“(პროგრამული კოდი 020101); აღნიშნული ქვეპროგრამის განხორციელებისა და შესაბამისად მოსალოდნელი შედეგების აღწერილობითი ნაწილი ბიუჯეტის პროექტში მოცემულია პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის მოთხოვნების არასრულყოფილი ასახვით;	შესრულებულია და მოყვანილია შესაბამისობაში.
3	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა,ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია	1. _ქვეპროგრამის ,,მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა“ - დაფინანსება გათვალისწინებულია 80,0 ათასი ლარით, აღნიშნული ქვეპროგრამა, როგორც ეს მოცემულია მისი აღწერის ნაწილში ითვალისწინებს მეწარმეობის განვითარებისთვის რიგი აქტივობების განხორციელებას (თუმცა ქვეპროგრამის აღწერის ნაწილში არ არის მოცემული კონკრეტულად რა აქტივობების განხორციელებაზეა საუბარი), რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივი წარმოების პოპულარიზაციას, ინოვაციების დანერგვასა და ა.შ. 80,0 ათასი ლარი არასაკმარისია იმისთვის, რომ მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს ბიუჯეტის ერთ-ერთი პრიორიტეტის ,,ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის“ სრულფასოვანი და ეფექტური ღონისძიებების განხორციელება	ეკონომიკური სამსახური მუშაობს დონერების მოძიების კუთხით და ახალი დონორის მოძიების შემთხვევაში მუნიციპალიტეტი გაზრდის თანადაფინანსებას რაც ხელს შეუწყობს მეწარმეების ხელშეწყბას.
		2. . ქვეპროგრამა ,,სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“ თავისი არსითა და დანიშნულებით მნიშვნელოვანია. მუნიციპალიტეტის განკარგვაში არსებული რესურსული, პოტენციალის სპეციფიკიდან გამომდინარე მიზანშეწონილია აღნიშნული ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების კონკრეტიზაცია და შესაძლებლობის ფარგლებში დაფინანსების ზრდა	აღნიშნულ პროგრამაში გათვალისწინებულია 40 000 ლარი რაც მოხმარდება ქალ მეწარმეათა ფორუმის ჩატარებას რაშიც დაიხარჯება 20 000 ლარი, ხოლო 20 000 ლარი დაიხარჯება საინვესტიციო კატალოგის შედგენისათვის რაც ხელს შეუწყობს როგორც ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებს ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის პოტენციალის უკეთ გაცნობაში.

4	სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია	1, 2023 წლის დასაწყისისთვის, პრიორიტეტის - „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ - დაგეგმილ დონესთან მიმართებით, დასაგეგმი 2024 წლის ბიუჯეტში აღნიშნული პრიორიტეტის შემცირებული ოდენობით დაგეგმვა შესაბამის დასაბუთებას საჭიროებს. თუ, ბიუჯეტის ზემოთ აღნიშნული პრიორიტეტის საბიუჯეტო ასიგნებების გეგმიური მაჩვენებლის შემცირება გამოწვეულია მიმდინარე წლის ბიუჯეტში უკვე დაფიქსირებული შესრულების ტენდენციისა და 2022 წლის ბიუჯეტის ფაქტობრივი შესრულების მაჩვენებლის საკმაოდ მაღალი ნიშნულებით, მაშინ პრიორიტეტი 02 00 -ით განსაზღვრული დაფინანსების სიდიდე(6315,0 ათასი ლარი) შეიძლება პოზიტიურად შეფასდეს. სხვა ნებისმიერ შემთხვევაში, პრიორიტეტის - „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ - დაფინანსების მოცულობა შესადარ პერიოდთან შედარებით, სათანადო არგუმენტაციას საჭიროებს	ამ ეტაპზე გათვალისწინებულია 6 315 000 ლარი 16.7%-ია წლის განმავლობაში ინფრასტრუქტურის პრიორიტეტი იზრდება როგორც ადგილობრივი ნამთებიდან და ასევე სახელმწიფოს ბიუჯეტის სხვადასხვა ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით ივსება. შესაბამისად წლის განმავლობაში ინფრასტრუქტურა მუდმივად მზარდია და წინა წლების მაჩვენებლებთან შედარებით კლების სამიშროება არ არსებობს.
		2, პრიორიტეტით - „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ - შესასრულებლად განსაზღვრული პროგრამების (ქვეპროგრამების) ნაწილი არ არის დაკონკრეტებული. შესაბამისად, მათი განხორციელების შედეგად დამდგარი შედეგების ინდიკატორები არასრულად ახასიათებს იმ ეფექტებს, რაც მოსალოდნელია მათი რეალიზაციის შემთხვევაში. სრულიად არადამაკმაყოფილებელია პროგრამების (ქვეპროგრამების) აღწერილობითი ნაწილებიც, რაც მიუღებელია პროგრამულ ფორმატში მომზადებული ბიუჯეტისათვის	შენიშვნა გათვალისწინებულია, შესაბამისი სამსახურის მიერ წარმოდგენილია და ასახულია შესაბამის დოკუმენტში.
5	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია	1. _ზოგიერთი ქვეპროგრამის ფარგლებში გაზრდილი დაფინანსების პირობებში საჭიროა აღწერილობითი ნაწილის დაზუსტება, დაინტერესებული პირებისათვის უფრო კონკრეტიზაციის კუთხით. უმეტესწილად პროგრამები სრულად ასახავს დაფინანსების შინაარსს, თუმცა რამდენიმე ღონისძიების აღწერილობში საჭიროა მათი დაზუსტება	შენიშვნა გათვალისწინებულია და ხარვეზი აღმოფხვრილია
		2. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტსა და 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტში ასახული გენდერული ასპექტები სასურველია წარმოდგენილი იყოს განმარტებითი ბარათის სახით.	შენიშვნა გათვალისწინებულია წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ახსნა განმარტებითი ბარათი.
6	ფრაქცია „ოზურგეთის საქართველოსთვის“	1. შ.შ.მ. პირთა დახმარება	შ.შ.პ. დაფინანსება გათვალისწინებულია როგორც განათლების ისე სოციალურ პროგრამებში და დაწვრილებით აღწერილია შესაბამის პროგრამებში.
		2. შ.შ.მ. სტატუსის მქონე სტუდენტებისა და (დედ-მამით ობლების) სწავლის საფასურის თანადაფინანსება	მომავალი წლიდან განათლების ხელშეწყობის პროგრამით გათვალისწინებულია დედ-მამით ობოლი სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის თანადაფინანსება. სოციალური ქულის ზღვარი იქნება 70 000 ქულამდე. პირველი კურსის პირველი სემესტრი დაფინანსდება 400 ლარით, ხოლო მომდევნო სემესტრები დაფინანსდება აკადემიური მოსწრების შესაბამისად.
		3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ტრანსპორტირების შეუფერხებელი მოძრაობის ორგანიზება, მათ შორის: პარკირების მოწესრიგება ქალაქსა და საკურორტო ზონებში, პარკირების ფართების გამოყოფისა და პარკირების საფასურის ადმინისტრირების ჩათვლით.	აღნიშნულ საკითხზე 2023 წელს ევროპის ფონდთან ერთად განხორციელდა პროექტი რომელიც მიზნად ისახავდა პარკირების პრობლემის მოგვარებას, ექსპერტების მიერ გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები და მიმდინარეობს პარკირების ახალი სისტემის დანერგვის მოსამზადებელი სამუშაოები, რომელსაც ახორციელებს მერია და სატრანსპორტო კომპანია.
		4. ქ. ოზურგეთის საკანალიზაციო სისტემის მდგომარეობის შესწავლა-მოწესრიგება	აღნიშნულ საკითხს შეისწავლის შესაბამისი სამსახური.
		5. ქ.ოზურგეთის მოიდანახის უბანში (ტელმანის,ლანჩხუთის და გორკის ქუჩების მიმდებარედ). სტადიონის რეზილიტაცია.	აღნიშნულ საკითხს კოორდინაციას უწევს შესაბამისი სამსახური.
		6. კორუფციის აღმოსაფხვრელად და შემდგომი პრევენციის მიზნით ანტიკორუფციული დროებითი კომისიის შექმნა	აღნიშნული საკითხი არ ეხება მუნიციპალიტეტის მიერ 2024 წლის დასამტკიცებელი ბიუჯეტის ფორმატს.

7	საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი	1.მუნიციპალური ნარჩენების გატანის / დასუფთავების სერვის ის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, მნიშვნელოვანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებსა და მათში შემავალ დასახლებებში არსებითად გაიზარდოს ნაგავშემკრები კონტეინერების / სანაგვე ურნების არსებული რაოდენობა და მუნიციპალური ნარჩენების გატანის გეოგრ აფიული არეალი, რისთვისაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში გამოყოფილ / ასახულ იქნეს შესაბამისი ფინანსური რესურსები და ასიგნებები;	მომავალ წელს იგეგმება ახალი ნაგავ შემკრებები კონტეინერების დამატება. აგრეთვე მუნიციპალიტეტმა ცენტრალური ბიუჯეტის დახმარებით შეიძინა სამი ერთეული 16 კუბ.მ. მოცულობის ნაგავმზიდი, რომელიც გადმოგვეცემა 2024 წლის პირველი კვარტლის ბოლოს ეს გარემოება ხელს შეუწყობს ნაგავშემკრებების დაცლის ინტენსივობის ზრდას.
		2. განხორციელდეს დროული და ეფექტიანი ღონისძიებები მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებისა და მათში შემავალი დასა ხლებების ტერიტორი აზე განთავსებული ნაგ ავშემკრები კონტეინერებიდან / სანაგვე ურნებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ინტენსივობის გაუმჯობესების მიმართულებით	აღნიშნული საკითხი გათვალისწინებულია 2024 წლის ბიუჯეტში.
		3. მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ნარჩენების განთავსების სპონტანური ადგილების პერმანენტული „სკანირების“ გაგრძელებას და, მათი გამოვლენის შემთხვევაში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულ ებ ის დასახლებებში ნარჩენების განთავსების სპონტანური ადგილების (ე.წ. „სტიქიური“ ნაგავსაყრელების) სრული ინვენტარიზაცია (ადგილმდებარეობის, მოცულობის, შემადგენლობის იდენტიფიცირება) და ამ ადგილების დასუფთავება და ტერიტორიის აღდგენა („ სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა / რემედიაცი ის “ ვალდებულების ფარგლებში) და ამისთვის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნეს დამატებითი ფინანსური რესურსები	მუნიციპელიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ მომსახურების ცენტრი მუშაობს აღნიშნული მიმართულებით რათა მოხდეს სპონტანური ნაგავსაყრელების აღმოჩენა და ლოკალიზება.
		4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს ადმინისტრაციულ ერთეულ ებ ში არსებულ საჯარო სკოლ ებ სა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებ ებ ში , ასევე , ადმინისტრაციულ შენობ ებ ში ქაღალდის ნარჩენების წყაროსთან სეპარირების სისტემის პროექტის განხორციელებ ის დაწყება და ამისთვის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნეს შესაბამისი ფინანსური რესურსები / საბიუჯეტო ასიგნება	მოხდება აღნიშნული საკითხის შესწავლა და შესაძლებლობის ფარგლებში პრობლემის აღმოფხვრა.
		5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა გააგრძელოს ქალაქ ოზურგეთში და ურეკი შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე პლასტიკის ნარჩენების წყაროსთან სეპარირების სისტემის პროექტის განხორციელება და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნეს პლასტიკის ნარჩენების წყაროსთან სეპარირების სისტემის პროექ ტის განხორციელებ ის გეოგრაფიული არეალის ზრდა, შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფის გამოყოფის გზით; ;	ნაწილობრივ აღმოფხვრილია და დამატებით მიმდინარეობს აღნიშნული საკითხის შესწავლა.
		6. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაიგეგმოს და განხორციელდეს ეფექტიანი საინფორმაციო კამპანი ა მუნიციპალური ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებ სა და კომპონენტებზე საზოგადოების ცნობიერების დონის ასამაღლებლად, მათ შორის შესაბამისი ნარჩენების სახეობების იდენტიფიცირების უნარისა თუ მათი სეპარირებული შეგროვების ჩვევათა გამომუშავების მიზნით ;	განხილული იქნება აღნიშნული საკითხი

		7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები დასუფთავების მოსაკრებელის გადახდის აუცილებლობის საკითხის მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების დონის და ამ საკითხისადმი მისი დადებითი დამოკიდებულების ასამაღლებლად ...	მომსახურების ცენტრი მუშაობის შესაბასმისი ბაზის სრულყოფაზე და აგრეთვე პროგრმულ უზრინველყოფაზე და მომავალი წლიდან გადაიდგმება ქმედითი ნაბიჯები.
8	ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	1.	საკითხი წარნოდგენილი იყო დაგვიანებით და შესაბამისად შეუძლებელი იყო არსებულ ვადებში საკითხების შესწავლა. განხილული იქნება მომდევნო პერიოდში.
		2.	
		3.	
9			